**თსუ საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა - ანგარიშგების განყოფილებაში განყოფილები მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

1. საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
   ა) საკონკურსო წესით საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა - ანგარიშგების განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა.
   ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა - ანგარიშგების განყოფილების მთავარი სპეციალისტის (პირველი კატეგორია) თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის/გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და აღრიცხვა - ანგარიშგების განყოფილების მთავარი სპეციალისტის (პირევლი კატეგორია) თანამდებობაზე შერჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.